

## სტუდენტური ბარათით მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სტუდენტური ბარათით (შემდგომში - ბარათი) სარგებლობის პირობებს (შემდგომში - პირობები). ბარათი წარმოადგენს სს საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) მიერ სპეციალურად სტუდენტებისათვის - პირი, რომელიც სწავლობს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებულ ავტორიზებულ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში - კლიენტი) შემუშავებულ ბარათს, რომლის გამოშვებაც ხდება ბანკის მიერ. ბარათით სარგებლობის საშუალება კლიენტს მიეცემა მის მიერ ბარათის განაცხადის (შემდგომში - განაცხადი) შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს ბანკის მხრიდან ასეთი მომსახურების უპირობოდ გაწევას. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი მიზანშეწონილად ჩათვლის, კლიენტს მისცეს საშუალება ისარგებლოს ბარათით კლიენტი ვალდებულია იხელმძღვანელოს ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

### 1. ბარათის ძირითადი პირობები:

1.1.	ბარათის ტიპი:	MasterCard Debit card რომელიც აღჭურვილია სატრანსპორტო და საგადახდო უკონტაქტო აპლიკაციით
1.2.	საბარათო ანაგრშისი ტიპი:	მულტისავალუტო - ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი (თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს)
1.3.	ბარათის მოქმედების ვადა:	4 წელი
1.4.	სატრანსპორტო აპლიკაციის მოქმედების ვადა:	შეესაბამება ბარათის ვადის მოქმედების ვადას. შენიშვნა: 1 წლის გასვლის შემდეგ აუცილებელია ExpressPay-ს თვითმომსახურების ტერმინალით სატრანსპორტო აპლიკაციის ხელახალი აქტივაცია
1.5.	ბარათის ღირებულება:	
1.5.1.	პირველადი ბარათის დამზადების საკომისიო:	უფასო
1.5.2.	ბარათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, აგრეთვე ვადის გასვლამდე/ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერი მიზეზით ახალი ბარათის დამზადების საკომისიო:	3 (სამი) ლარი შენიშვნა: ახალი ბარათის დამზადების შემთხვევაში, მოხდება ძველი ბარათის გაუქმება სტუდენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე
1.6.	საბარათო ანაგრშისის მომსახურების საკომისიო:	უფასო
1.7.	ბარათზე დაშვებული ოპერაციები:	თანხის განაღდება, სავაჭრო ობიექტებსა და ინტერნეტ მაღაზიებში გადახდა, მგზავრობის საფასურის გადახდა თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტში, თანხის ჩარიცხვა, თანხის გადარიცხვა, თანხის შეტანა, კონვერტაცია (თუ ბანკი სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს).
1.8.	SMS ბანკისა და ინტერნეტ ბანკის მომსახურების საკომისიო:	უფასო
1.9.	ავტომატური კომუნალური გადასახადები:	უფასო
1.10.	ბარათზე არსებული ბენეფიტები:	ბარათით განხორციელებულ გადახდებზე წარმოებს Express ქულების ან PLUS ქულების დარიცხვა. Express ქულების და PLUS ქულების დაგროვება, გამოყენება და სხვა პირობები განხორციელდება ა) დაგროვებითი პროგრამა Express Bonus-ის მომსახურების პირობების და ბ) ურთიერთობა პროგრამა PLUS-ის პირობების შესაბამისად, რომლებიც განთავსებულია ვებ-გვერდზე <a href="http://www.bankofgeorgia.ge">www.bankofgeorgia.ge</a> .

### 2. ზოგადი პირობები:

- 2.1. ბანკი ბარათების დამზადებას უზრუნველყოფს იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მოძიება მოხდება განათლების სამინისტროს სტუდენტთა ერთიან ბაზაში, როგორც სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე პირის და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.
- 2.2. კლიენტი ბარათის საშუალებით ისარგებლებს მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის გამარტივებული ფორმით, ბარათის უკონტაქტო ჩიპური ტექნოლოგიის – სატრანსპორტო აპლიკაციის გამოყენებით. მგზავრობის საფასურის გადახდა განხორციელდება საბანკო ანაგრშიდან.
- 2.3. ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავტორიზებული უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში რიცხულ კლიენტებზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს აქტიური სტუდენტის სტატუსით, გავრცელდება ქ.

თბილისის მერიის მიერ დაწესებული შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კლიენტი უფლებამოსილია სატრანსპორტო აპლიკაცია გამოიყენოს სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის სხვა ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტში) მგზავრობისას, სტანდარტული ტარიფით.

- 2.4. ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავტორიზებული უმაღლესი ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რიცხულ კლიენტებზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს აქტიური სტუდენტის სტატუსით, გავრცელდება ქ. ბათუმის მერიის მიერ დაწესებული შეღავათები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კლიენტი უფლებამოსილია სატრანსპორტო აპლიკაცია გამოიყენოს სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტში (მათ შორის სხვა ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტში) მგზავრობისას, სტანდარტული ტარიფით.
- 2.5. ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გარეთ არსებული ავტორიზებული უმაღლესი ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში რიცხული კლიენტები სატრანსპორტო აპლიკაციის გამოყენებისას ისარგებლებენ სტანდარტული ტარიფებით.
- 2.6. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი აღარ ირიცხება ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავტორიზებულ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან/და ქ. თბილისის/ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ავტორიზებულ უმაღლესი ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუწყდა ან შეუჩერდა ავტორიზაცია, ან/და კლიენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ბანკი უფლებამოსილია:
  - 2.6.1. დაუყოვნებლივ დაბლოკოს ბარათის სატრანსპორტო აპლიკაცია;
  - 2.6.2. გააუქმოს ბარათისათვის ბანკის მიერ დადგენილი ნებისმიერი ბენეფიტი;
  - 2.6.3. განაცხადით, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი საბანკო პროდუქტებზე კლიენტს დაარიცხოს შესაბამისი პროდუქტისათვის ბანკში დადგენილი სტანდარტული საკომისიო.
- 2.7. ბარათის გააქტიურებისთანავე:
  - 2.7.1. განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გააქტიურდება ინტერნეტ-ბანკი, SMS-ბანკი, ასევე ბარათის 3D უსაფრთხოების მომსახურება.
  - 2.7.2. კლიენტი დარეგისტრირდება ცენტრალიზებულ იდენტიფიკაციის სისტემაში, თუ უკვე არ არის რეგისტრირებული და მომხმარებლის სახელად განესაზღვრება ბარათის 16 ციფრიანი ბარათის ნომერი, ხოლო პაროლი გაეზავნება განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.
- 2.8. ბარათთან დაკავშირებული ზოგადი პირობები მოცემულია საბანკო მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge). წინამდებარე პირობებში მოცემულსა და საბანკო მომსახურების პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრულ პირობებს.

### **3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 3.1. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ და ცალმხრივად:
  - 3.1.1. განაახლოს ბარათი, წინამდებარე პირობების შესაბამისად, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების/დამატებების გათვალისწინებით;
  - 3.1.2. შეცვალოს ბარათთან დაკავშირებული გადახდის ვადები;
  - 3.1.3. დაადგინოს/შეცვალოს ბარათით სარგებლობასთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთის, პირგასამტეხლოს ან/და საკომისიოს ტიპები ან/და მათი განაკვეთების ოდენობები;
  - 3.1.4. შეცვალოს წინამდებარე პირობები.
- 3.2. კლიენტი უფლებამოსილია:
- 3.3. მოითხოვოს ბარათით მომსახურების შეწყვეტა თუ მის მიერ შესრულებულია ბანკის წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულება სრულად და ჯეროვნად, ბანკის შეხედულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია მთლიანად დაფაროს ბარათის ანგარიშზე არსებული ყველა დავალიანება.
- 3.4. კლიენტი ვალდებულია:
  - 3.4.1. არ გადასცეს ბარათი მესამე პირს. მესამე პირის მიერ შეღავათიანი ტარიფით მგზავრობისას, განხორციელდება ბარათის სატრანსპორტო აპლიკაციის დაბლოკვა;
  - 3.4.2. წერილობით შეატყობინოს ბანკს განაცხადში დაფიქსირებული რომელიმე რეკვიზიტის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, საცხოვრებელ მისამართს, ტელეფონის ნომერს, მობილურის ნომერს და ა.შ.) ცვლილების შესახებ. თუ კლიენტი შეიცვლის განაცხადში მითითებულ რომელიმე საკონტაქტო ინფორმაციას და 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი არ შეატყობინებს ბანკს ახალ რეკვიზიტებს, მაშინ განაცხადში მითითებულ რეკვიზიტზე ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება კლიენტისათვის უპირობოდ ჩაბარებულად.

### **4. პირობების ძალაში შესვლა და მოქმედება**

- 4.1. პირობები ძალაში შედის განაცხადის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.